

შპს „ინტერტრეიდინვესტ“ ს/კ 405379433

შპს „ინტერტრეიდინვესტ“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში).

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინტერტრეიდინვესტ“ ს/კ 405379433 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით
შექმნილ, მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა: ➤ საბითუმო ვაჭრობა სხვა სათბობით.

კომპანიის დაარსების თარიღია 19/02/2020. შპს „ინტერტრეიდინვესტ“-ს ჰყავს ერთი
დამფუძნებელი, მისი 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი, (ალექსანდრე ჩერტოკი, 3-1385490-3,
29458292, ისრაელი) რომელიც ამავე დროს კომპანიის დირექტორია.

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, მერაბ ალექსიძის ქუჩა
N12, სართული 8, ბლოკი „ბ“, საოფისე ფართი N39.

ფაქტიური მისამართი - ქ.თბილისი

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო
პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2.1 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით. იგი
დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. გარდა
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი
და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 2024 წლის 1 იანვრიდან 31
დეკემბრის ჩათვლით.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მესამე

ფინანსური ანგარიშგება, რადგან 2020-2021 წლებში კომპანიას არ ჰქონია ოპერაციები, ხოლო 2023 წლიდან შეიცვალა და გახდა მე-3 კატეგორიის საწარმო.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

კომპანიას ფუნქციონირების დაწყებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არ შეუძენია არც ერთი ძირითადი საშუალება და არც აღურიცხავს.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით). სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა. კომპანია ყოველთვიურად წარადგენს მოგების და საშემოსავლო გადასახადებს. წლიურად წარდგენას ექვემდებარება ქონების გადასახადის დეკლარაცია და გაანგარიშება: **საგადასახადო აგენტის ინფორმაცია არარეზიდენტისათვის წყაროსთან დასაკავებული გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებაზე ან შემცირებაზე (ფორმა N1)**

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას გამოიყენება უნაღდო ფორმა. ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით.

2.8 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო ბალანსზე ასახავს, მარაგები შეფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე

ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

2.10 საქონლის გაყიდვა

ზოგადად საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

2.11 წასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ წასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.12 შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება ხდება ამ სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი.

3. ანგარიშგების წარდგენა

საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

4. ძირითადი საშუალებები .

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობ	სულ
31 დეკემბერი 2024	0	0	0	0	0
- ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2024					
პერიოდის	0	0	0	0	0
შემოსვლა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2024					
პერიოდის ცვეთა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2024	0	0	0	0	0

ნეტო საბალანსო ღირებულება: 0,000

5. სასაქონლო მარაგები

მარაგები

31.12.2024

0,000

საქონელი

სულ

0,000

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2024

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

2 971 753.000

გადახდილი ავანსები

135 261,000

სხვა მოთხოვნები

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი

სულ

3 107 014.000

7. გადახდილი/გადასახდელი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები	31.12.2024
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0,000
სულ	0,000

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1 442 517.000
საბანკო ოვერდრაფტი	0.000
სულ	1 442 517.000

კომპანიის ძირითადი საანგარიშშორებო ანგარიშები აქვს ქართულ ბანკში, კომპანიას არ აქვს სალაროს ოპერაციები, არ ფლობს საკასო აპარატებს, არ ფლობს დეპოზიტებსა და ანაბრებს.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	0.000
სახელოფასო ვალდებულებები	0,000
საგადასახადო ვალდებულებები	6 927.000
გადასახდელი პროცენტები	0.000
სულ	6 927,000

10. შემოსავალი

ამონაგები

	31.12.2024
საქონლის გაყიდვა	15 554 243.000
მომსახურების გაწევა/ადგილობრივი	
სხვა	
სულ	15 554 243.000

11. რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება

31.12.2024

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

13 626 764,000

სულ თვითღირებულება

13 626 764,000

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული
ხარჯები

31.12.2024

ხელფასები

130 938,000

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

366 947,000

სულ

497 885,000

13. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები:

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

31.12.2024

საკუროს სხვაობით მიღებული შემოსავალი

96 957,000

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

442 099,000

საპროცენტო ხარჯი

(1 041,000)

სულ

538 015,000

შპს „ინტერტრეიდიინვესტ“ ს/კ 405379433.

დირექტორი: -----



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2024

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,442,517.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,971,753.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	135,261.00
მარაგები	-
მზა პროდუქცია	-
სხვა	-
საინვესტიციო ქონება	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-
გუდვილი	
სხვა არამატერიალური აქტივები	
ძირითადი საშუალებები	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	
სულ აქტივები	4,549,531.00
ვალდებულებები	
საიჯარო ვალდებულება	
სავაჭრო ვალდებულებები	-
ანარიცხები	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-
საგადასახადო ვალდებულებები	6,927.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	
მიღებული გრანტები	
სხვა ვალდებულებები	
სულ ვალდებულებები	6,927.00
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	
საემისიო შემოსავალი	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4,542,604.00
გადაფასების რეზერვი	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	
სულ საკუთარი კაპიტალი	4,542,604.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,549,531.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,549,531.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2024
ნეტო ამონაგები		15,554,243.00
საქონლის გაყიდვიდან		15,554,243.00
მომსახურების გაწევიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება		13,626,764.00
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		13,626,764.00
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება		1,927,479.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება		(130,938.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		(1,041.00)
იჯარის ხარჯი		
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(366,947.00)
სულ საოპერაციო ხარჯები		(498,926.00)
საოპერაციო მოგება		1,428,553.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		96,957.00
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		442,099.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,967,609.00
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1,967,609.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,967,609.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,967,609.00

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია შემდეგი პერიოდის მიერ:

დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,230,124.00	7,414,000.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	(8,553,200.00)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1,230,124.00	(1,139,200.00)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	212,393.00	1,351,593.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,442,517.00	212,393.00

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ

დირექტორი _____

